ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 530

19 ნოემბერი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 ნოემბრის №21.1511.1690 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.004) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ახვლედიანი

					დანართი N1

	ქალაქი თბილისი, გუდამაყრის ქუჩა N2ა (საკადასტრო კოდი: 01.12.07.004.004)				
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, დაკავებული ბინის ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	გურამი ნაჭყეპიანი	01019064011	სართული 10, ბინა N27	84.8	01.12.07.004.004.01.027
2	მაია ბაღდავაძე	01819090419	სართული 10	40.73	01.12.07.004.004.01.1152
			სართული 10, ბინა N16	17.58	01.12.07.004.004.01.016
3	ასმათი ჩიტაია	48001000429	სართული 10, ბინა N10	37.42	01.12.07.004.004.01.010
4	ნინო მაისურაძე	01019018278	სართული 10, ბინა N13	40.53	01.12.07.004.004.01.013
5	ნათელა ცუცუნაშვილი	01019036856	სართული 10, ბინა N26	37.96	01.12.07.004.004.01.026
6	ია რამიშვილი	01022012215	სართული 10, ბინა N21	43.56	01.12.07.004.004.01.021